კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობა

გიორგი ამაშუკელი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

I. შესავალი

კრიმინალიზაცია, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი უკიდურესი და არასასურველი, მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად საჭირო მექანიზმი, ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოების მხრიდან მწვავე დისკუსიის ობიექტი. სწორედ კრიმინალიზაციის პროცესია საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი სამართლებრივ-კულტურული განვითარების საზომი და ერთგვარი სახე. რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს კრიმინალიზაციის აუცილებლობა და, ამ კუთხით, არსებობს ერთგვარი ზოგადსაკაცობრიო კონსენსუსი, რასაც ვერ ვიტყვით თავად კრიმინალიზაციის პროცესზე, როდესაც წყდება კონკრეტულ ქმედებათა კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობა და სოციალური აუცილებლობის საკითხი. იგი იმდენად მოცულობითი და მრავალმხრივია, რომ მასში თავმოყრილია (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს გათვალისწინებული) კაცობრიობის მეცნიერულ მიღწევათა თითქმის ყველა მონაცემი და გამოცდილება. კიდევ უფრო დიდ, თეორიულ და ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული კიბერსივრცეში წარმოშობილ, სოციალურად საშიშ ქმედებათა კრიმინალიზაციის საკითხი. პრობლემა არა იმდენად მისი აუცილებლობის დასაბუთებაში, არამედ საკითხის თეორიული, სამართლებრივ-ტექნიკური ნიუანსების გააზრებაშია, რადგანაც კიბერსივრცე გვთავაზობს ისეთ ქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელსაც ისტორია დღემდე არ იცნობდა. ამასთან, კიბერტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბუნებრივად განაპირობა მათი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება, ხოლო ბოლო პერიოდის სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა ცალსახად დაარწმუნა საერთაშორისო თანამეგობრობა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა კიბერდანაშაულთან მიმართებაში, როდესაც კარდინალურად იქნა გამკაცრებული სასჯელები.

სტატიაში განვითარებული თვალსაზრისი წარმოაჩენს არა მარტო ცალკეულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა შექმნის აუცილებლობას, არამედ იმის დასაბუთებასაც, რომ კიბერდანაშაული, თავისი ბუნებით, გულისხმობს მის ჩადენას როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ამ მხრივ, ჩვენი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობას, სადაც კრიმინალიზებულია შემადგენლობის გაუფრთხილებლობით განხორციელებაც. აღნიშნულ საკითხს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და ქმნის სერიოზულ გაუგებრობას კვალიფიკაციის დროს, უარყოფითად აისახება მართლმსაჯულებაზე და არც თუ იშვიათ შემთხვევაში საფუძველია უსამართლო ბრალდებისა და, შესაბამისად, უკანონო მსჯავრდებისა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე, დღემდე, რაიმე სახის სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა. წინამდებარე სტატია ხელს შეუწყობს ასევე მოცე-

მულ სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო საქმიანობას.

II. კიბერდანაშაულის გენეზისი და მისი სისხლისსამართლებრივი რეგულირების საჭიროება

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტერმინები კიბერსივრცე, კიბერდანაშაული, კიბერუსაფრთხოება თუ ინტერნეტი არის მე-20 საუკუნის პირმშო და შედეგი კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების, რომელმაც, უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, თავის გავლენას დაუქვემდებარა საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფერო. იგი არა მარტო მონაწილეობს სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ღიად კარნახობს მას თავის დღის წესრიგს. კიბერტექნოლოგიების ელვისებურმა განვითარებამ წარმოშვა ისეთ ურთიერთობათა მრავალფეროვნება, რომელსაც კაცობრიობა დღემდე არ იცნობდა და, შესაბამისად, ფასდაუდებელ პროგრესთან ერთად წარმოქმნა უამრავი ტექნიკური და სამართლებრივი პრობლემა. არავითარ ეჭვს არ იწვევს კიბერტექნოლოგიების კრიტიკულად უკიდურესი საჭიროება მეცნიერების, მედიცინის, განათლების, სოფლის მეურნეობის, თავდაცვისუნარიანობის თუ სახელმწიფო მმართველობის სფეროებში. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ გაჩნდა უზარმაზარი ნაპრალი, ერთგვარი შეუსაბამობა, ტექნიკურ პროგრესსა და მის სამართლებრივ რეგულირებას შორის. თუ პირველი გეომეტრიული სისწრაფით ვითარდება, მეორე მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამ პრობლემას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. სუბიექტური მიზეზია ის, რომ კაცობრიობამ დროულად სათანადოდ არ შეაფასა ტექნოლოგიურ მიღწევათა თანმდევი, უარყოფითი შედეგები და აღნიშნული მიღწევები სამართლებრივ ჩარჩოებში არ მოაქცია, ხოლო ობიექტურად, აღმოჩნდა, რომ სამართლებრივი პროცესები გაცილებით მეტ დროს მოითხოვს და დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე; საზოგადოების მხრიდან საჭიროა არა მარტო პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, არამედ აუცილებელია ადამიანთა ურთიერთშეთანხმება, რაც იმთავითვე დროში გაწელილი პროცესია. ამდენად, შექმნილი რეალობა და ის საფრთხეები, რომლებიც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას უკავშირდება, საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან განიხილება, როგორც პრიორიტეტული. ამიტომაა, რომ კიბერუსაფრთხოების საკითხი თითქმის ყველა ქვეყნის მიერ აყვანილია ეროვნული უსაფრთხოების რანგში. ამ საკითხზე იმდენი საერთაშორისო დონის ხელშეკრულება და შეთანხმებაა დადებული, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. საქმე ისაა, რომ კიბერუსაფრთხოებაზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი კეთდება მის ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე, რაც აუცილებელია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გაცილებით პრობლემურად გამოიყურება მისი სამართლებრივი განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი მხარე. შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება, მეტ-ნაკლებად, შესაძლებელია, მაშინ, როდესაც სისხლის სამართალი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. ამიტომ, აუცილებელი ხდება სოციალური კონტროლის ისეთი უკიდურესი მექანიზმის მოშველიება, როგორიც კრიმინალიზაციაა. ცხოვრებისეული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მოსალოდნელი სასჯელის შიში, სამწუხაროდ, კვლავ რჩება სოციალური კონტროლის ეფექტიან საშუალებად.

ამასობაში, კიბერსივრცე სულ უფრო ახალ სიურპრიზებს უმზადებს კაცობრიობას და შემზარავს ხდის მის მასშტაბებს. დღემდე მიჩნეული იყო, რომ კიბერტექნოლოგიების ზეგავლენა ვრცელდებოდა მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ბოლო დროს, უფრო სწორად კი 2018 წელს, მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ ფენომენის უნივერსალობასა და უკიდეგანობაში. საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების ასტრონავტი ქალის, ენნ მაკკლეინის, მიერ ნასას საერთაშორისო კოსმოსუ-

რი სადგურიდან ყოფილი მეუღლის საბანკო ანგარიშის სავარაუდო გატეხვის ფაქტზე. თავისთავად, მომხდარი ფაქტი მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში დანაშაულის ადგილად დაფიქსირდა კოსმოსური სივრცე, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ფაქტმა დასაბამი დაუდო კიბერტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას კოსმოსში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოსმოსურ სივრცეში განთავსებულ ობიექტთა და პროგრამათა უმეტესობა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებისაა, სავარაუდოდ, უახლოვეს მომავალში უნდა ველოდოთ თვისობრივად ახალ, სოციალურად უაღრესად საშიშ ქმედებათა კასკადს.

ასეთ ვითარებაში, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოებას უკეთესი რამ არ მოუფიქრებია, კრიმინალიზაციის პროცესი გარდაუვალია. მთავარია არა პასუხისმგებლობის დაწესების პრობლემა (მიუხედავად იმისა, რომ ესეც აქტუალურია), არამედ ის, თუ რა პრინციპებითა და კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს კანონმდებელი, და რამდენად შესაბამისობაში იქნება იგი თანამედროვე გამოწვევებთან. ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში მრავალი სირთულე და წინააღმდეგობაა და ამის თვალსაჩინო მაგალითია ის დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები, რომლებიც შეინიშნება საერთაშორისო დონეზე. ეს, თავის მხრივ, არსებითი ხელისშემშლელი გარემოებაა და კიდევ უფრო ართულებს ისედაც არაპროგნოზირებად მომავალს. თუ პოლიტიკური შეფასებებისგან შევიკავებთ თავს, დღემდე კიბერუსაფრთხოების ყველაზე მაღალი დონე გააჩნია ჩრდილოეთ კორეას, მაგრამ მსგავსი მეთოდებით, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიუღებელია. ამიტომ ერთადერთი მართებული გზა არის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და სამართლებრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობა, ეროვნული კანონმდებლობის მისადაგება საერთაშორისო სამართალთან, ასევე ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

III. კიბერდანაშაულის ადგილი ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიბერდანაშაულს დათმობილი აქვს XXXV თავი და შედგება ხუთი მუხლისგან. კოდექსის მიხედვით, ყველა მათგანი განზრახი დანაშაულია: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით და ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა.

გარდა ამისა, კოდექსში გვხვდება მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო კონსტრუქციები, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსის სხვა თავებში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავში, რომელიც ეძღვნება ტერორიზმს, 324[1] მუხლით გათვალისწინებულია კიბერტერორიზმის შემადგენლობა, ხოლო XVII თავის 158-ე-159-ე მუხლებით გათვალისწინებულია კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა და პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა. როგორც ვხედავთ, კიბერტექნოლოგიები ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად იქვემდებარებს მრავალ დანაშაულებრივ შემადგენლობას. გასაგებია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში კიბერტექნოლოგიები გვევლინება დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის განხორციელების ხერხად და საშუალებად, რომელიც მას ამარტივებს. არა ნებისმიერი ქმედება განიხილება დანაშაულის ჩადენის ხერხად, არამედ, როგორც პროფესორი გ. ნაჭყებია მიუთითებს: ,,კრიმინალიზაციის ობიექტია სუბიექტის მოტივისა და მიზნის განხორციელების ანტისაზო-

გადოებრივი ხერხი."[1] Არის თუ არა ქმედება სოციალურად საშიში, შეფასებითი კატეგორიაა, რომელიც ყოველთვის არის დაკავშირებული მრავალ გარემოებასთან და წყდება ცალკე აღებულ, კონკრეტულ შემთხვევებში. ეს საკითხი კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს კიბერსივრცესთან მიმართებაში, რადგანაც რთულდება თავად საკითხის შეფასების როგორც მოცულობა, ისე შინაარსი. ამ შემთხვევაში აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების მწყობრი და გამართული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ქმედების მართლზომიერება-არამართლზომიერების საკითხი. მსგავსი მდგომარეობაა სამშენებლო წესების დარღვევის დროს, როდესაც სახეზეა მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინსტრუქციების, შეთანხმებებისა თუ სპეციალური წესების სახით. იმისთვის, რომ დადგინდეს სამშენებლო წესების დარღვევა, უნდა არსებობდეს სათანადო წესით მიღებული ინსტრუქცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა სახის დარღვევაა და გათვალისწინებულია თუ არა იგი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით. აქ სახეზეა ე. წ. „ბლანკეტური" მუხლები. მართლაც, ცალკეული მუხლის დისპოზიციაში შეუძლებელია ყველა ელემენტის ასახვა. ამიტომ მსგავსი საკანონმდებლო ტექნიკის წყალობით მსგავსი პრობლემები მოგვარებადია. ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე კიბერუსაფრთხოების და, კონკრეტულად, კიბერდანაშაულთან მიმართებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასშტაბები გაცილებით დიდი და მრავალმხრივია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კიბერსივრცემ უკვე დიდი ხანია თავისი ქოლგის ქვეშ მოაქცია სამშენებლო სფერო ისევე, როგორც ადამიანთა საქმიანობის ყველა მიმართულება. ასეთ ვითარებაში კი რაიმე მწყობრ საკანონმდებლო ბაზაზე საუბარი რთულია ან თითქმის შეუძლებელი. მაგრამ უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა გადაწყდეს გარკვეული მინიმალური საკანონმდებლო პრობლემები. წინააღმდეგ შემთხვევაში საკანონმდებლო ვაკუუმი და მისგან გამომდინარე გლობალური ხასიათის უარყოფითი შედეგები გარდაუვალი იქნება.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში გაბნეულ სამართლებრივ კონსტრუქციათა უმეტესობა ნაკარნახევია პრაქტიკული საჭიროებით, თუმცა სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხს, რადგან კიბერსივრცის უსაფრთხოებაზე საუბარი საერთაშორისი კანონმდებლობისგან მოწყვეტით შეუძლებელია. მეორე მხრივ, არ უნდა მოხდეს მათი კოპირება და საკანონმდებლო დამაგრება ავტომატურად, შესაბამისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, სამართლებრივი ტექნიკის კუთხით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე კიბერდანაშაულის ყველა საკანონმდებლო კონსტრუქციის ერთ თავში გაერთიანება, რაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა კანონგამოყენებით საქმიანობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი შემადგენლობა, რომლის განხორციელება არ შეიძლებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ან გამოყენებით, ან მათი აქტიური მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში, კოდექსში გვექნებოდა ისეთი სპეციალური თავი, რომელიც თავს მოუყრიდა დანაშაულის შემადგენლობათა უმრავლესობას. მაგალითად: ქურდობა შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენებით (fishing), ისევე, როგორც მუქარის, გამოძალვის და სხვა შემადგენლობების განხორციელება. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ეს შესაძლებელია, მაგრამ არაა მისაღები. არსებობს მეორე გზაც, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი მუხლის დისპოზიციაში მაკვალიფიცირებელი ნიშნის დაწესებას კიბერტექნოლოგიების გამოყენებით ან სულაც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში სათანადო დანაწესის გაჩენას, რომლითაც გათვალისწინებუ-

[1] *ნაჭყებია*, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი 2002, 15.

ლი იქნებოდა დანაშაულის ჩადენა კიბერტექ-ნოლოგიების გამოყენებით.

გაცილებით პრობლემურია საკითხი კიბერ-დანაშაულის ჩადენის ფორმების შესახებ. რო-გორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამა-რთლის კოდექსი კიბერდანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ გან-ზრახ და არა გაუფრთხილებლობით, განსხვავე-ბით სხვა ქვეყნების და, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის სისხლისსამართლებრივი კანონმ-დებლობისგან. რით შეიძლება აიხსნას ეს გარე-მოება? ნუთუ მსგავსი სახის დანაშაული შესაძ-ლებელია გაუფრთხილებლობით იქნას ჩადენი-ლი ამერიკის შეერთებულ შტატებში ან რუსე-თის ფედერაციაში, ხოლო საქართველოში იგი გამორიცხულია ან არ არსებობს მისი კრიმინა-ლიზაციის სოციალურ-კრიმინოლოგიური სა-ფუძვლები? ერთი შეხედვით, პასუხი ამ კითხ-ვაზე მარტივი და ადვილად ახსნადია, მაგრამ თუ ღრმად ჩაუფიქრდებით, აღმოვაჩენთ, რომ იგი უკავშირდება კრიმინალიზაციის პროცესის ურთულეს პრობლემატიკას. არსებობს საკითხ-თა წრე, რომელთა გადაწყვეტის აუცილებლო-ბა არავითარ ეჭვს არ იწვევს. არსებობს მწვავე სოციალური, სამართლებრივი და კრიმინოლო-გიური საჭიროება ამა თუ იმ ქმედებათა კრიმი-ნალიზაციის, მაგრამ ვერ ხერხდება მისი საკა-ნონმდებლო კვალიფიკაცია. მაგრამ უდავოა, რომ ყოველგვარი ქმედების კრიმინალიზაციის პროცესი უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპებისა და კრიტერიუმების განუხრელი დაცვის პირო-ბებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნე-ბა ისეთ სამართლებრივ ვითარებას, როდესაც პასუხისმგებლობის საკანონმდებლო დანაწესი, უბრალოდ, არ იმუშავებს, ან ვერ იქნება მიღწე-ული ის შედეგი, რომელსაც კანონმდებელი ისა-ხავდა მიზნად. ამ კუთხით, საინტერესოა სამა-რთლის თეორეტიკოსის, მ. ფრიმენის დებულე-ბა იმასთან დაკავშირებით, რომ „სამართლებ-რივი კრიტერიუმები - ეს არის საზოგადოების სარკე, რომელიც წარმოაჩენს საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებებს.“[2] მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მეცნიერის ამ ლაკონი-ურ, მაგრამ ყოვლისმომცველ განაცხადს, რომ სოციალურ ქმედებათა შეფასების კრიტერიუ-მები უშუალოდაა დაკავშირებული თავად სა-ზოგადოებაში არსებულ გაბატონებულ ღირე-ბულებებთან, რომელიც ნასაზრდოებია ისტო-რიულად ჩამოყალიბებული მორალური, ტრა-დიციული თუ რელიგიური წანამძღვრებით. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სოციუ-მის სრული და შეუქცევადი პროცესი „კომპიუ-ტერიზაციისა“, შეინიშნება ტრადიციულ და თა-ნამედროვე ღირებულებათა კონკურენცია. იგი ერთ-ერთი რთულად გადასალახი ბარიერია და საჭიროებს ღირებულებათა ურთიერთმისადა-გებას, რომლის გარეშეც კრიმინალიზაციის პროცესი უსასრულოდ გაიწელება დროში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისეთი არამართლზო-მიერი ქმედების დეკრიმინალიზაცია, როგო-რიც შეურაცხყოფაა. თუმცა, არსებულმა რეა-ლობამ ცხადყო, რომ ამ ასოციალური ქმედების სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტიანი აღმოჩნ-და. უფრო მეტიც, სწორედ ინტერნეტის წყა-ლობით იქცა იგი ადამიანთა ღირსების დამცი-რების ტოტალურ საშუალებად. თუ დღემდე არსებული მოცემულობით მისი რეგულირება შესაძლებელი იყო სამოქალაქო სამართლით, დღეს ეს შეუძლებელია და ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად სა-ზოგადოების დიდი ნაწილის დაჟინებული მოთ-ხოვნისა, საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი არც კი განიხილება. ამის მიზეზი კი სწორედ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების პოლარიზაციაა. აქედან გამომდინარეობს დას-კვნა, რომ კრიმინალიზაცია, როგორც სოცია-ლური კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, თა-ვის თავში გულისხმობს არა მარტო მეცნიერე-ბათა მონაცემების გათვალისწინებას, არამედ ამ ღირებულებათა კონკურენციისა და ჰარმო-ნიზაციის პროცესს.

[2] *Freeman*, The Legal Structure, London 1974, 19.

კიდევ უფრო პრობლემურია დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობის დასაბუთება კიბერსივრცეში წარმოშობილ, სოციალურად საშიშ ქმედებათა მიმართ. მაგრამ, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს არა მარტო აუცილებელი, არამედ შესაძლებელიცაა და გარდაუვალიც. ამიტომ, საკითხი აქტუალურია ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციის დროს.

IV. გაუფრთხილებლობა, როგორც კიბერდანაშაულის შესაძლო ფორმა

ის გარემოება, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას, იმთავითვე უარყოფითი მოვლენაა და პირდაპირ უწყობს ხელს არასწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული, ზოგადად, გაუფრთხილებლობის პრობლემატიკასთან და განხილულ უნდა იქნას საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ დებულებებზე დაყრდნობით. ამიტომ, პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარება სამართლებრივი პრინციპები, რომელთაც ეკისრებათ ორიენტირის ფუნქცია. ერთ-ერთ ასეთ პრინციპად გვესახება პროფესორ მინდია უგრეხელიძის მიერ დანერგილი და განვითარებული „ტიპობრივი ვალენტობის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც, „უმართლობის ამა თუ იმ ტიპის კონსტრუირებისა და შესაბამისი შემთხვევების ტიპიზაციისას, საერთოდ, მარტო იმის უნარი კი არ მიიღება მხედველობაში, რომ ხდომილებათა დიდ მასაში მსგავს ქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ზიანი, არამედ ისიც, არის თუ არა იგი ტიპური (ტიპობრივი) და ადეკვატური იმ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს შორის კავშირი, რომლებიც ამ ქცევის ერთიან, განუყოფელ სტრუქტურას ქმნიან.“[3] აქ საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცალკეული ქმედება შესაძლოა იყოს სოციალურად საშიში და ზიანის გამომწვევი, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ჩადენა უკიდურესი იშვიათობით გამოირჩევა და არ არის „ტიპური“, ის კანონმდებელს ვერ უბიძგებს შემადგენლობის კრიმინალიზაციისკენ. პროფ. მინდია უგრეხელიძე თავის სალექციო კურსში[4] შემდეგ მაგალითს განიხილავს: „საქართველოს სასამართლო პრაქტიკისთვის ცნობილია გასული საუკუნის 70-იან წლებში მაღალმთიან აჭარაში მომხდარი ფაქტი, რა დროსაც ადამიანის გვამებს იყენებდნენ ღორების გამოსაკვებად.“ ალბათ, წარმოუდგენელია ამაზე უფრო არაბუნებრივი და ამაზრზენი ფაქტი, რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს, მაგრამ იმის გამო, რომ მსგავსი ქმედება არ იყო გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით, ვერ მოხდა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. თუმცა ამ ფაქტმა ვერ განაპირობა მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია, რადგანაც იგი არ იყო დამახასიათებელი საზოგადოების ჩვეული ცხოვრებისთვის.

ამ მაგალითიდან ნათლად იკვეთება კრიმინალიზაციის პროცესის ერთ-ერთი გასათვალისწინებელი გარემოება. კერძოდ, ის, რომ ქმედების კრიმინალიზაციის საფუძველია მისი გავრცელების ინტენსიობა და სიხშირე, რომელიც გარკვეულ ზიანს იწვევს ან ქმნის მისი დადგომის საშიშროებას.

მართებულია პროფესორ იაკოვლევის მსჯელობა, რომ ,,არსებითად, სოციალური კონტროლის საწყისია ის მომენტი, როდესაც ინდივიდუალური ქმედება იძენს სოციალურ მნიშვნელობას, რაც პირველი ეტაპია სოციალური კონტროლის განხორციელების გზაზე, როდე-

[3] *უგრეხელიძე*, „ტიპობრივი ვალენტობის“ პრინციპი სისხლის სამართალში, მაცნე N11; თბილისი 2017, 40.

[4] *უგრეხელიძე*, სალექციო კურსი სისხლის სამართალში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი 2019.

საც ინდივიდის მოქმედება იძენს სისტემატურ ხასიათს და დამახასიათებელია არა რომელიმე ცალკე აღებული სოციალური ფენის, არამედ მთლიანად საზოგადოების ფართო წრისთვის."[5]

ჩეზარე ბეკარიამ, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული კრიმინალიზაციის სწავლების ფუძემდებლად, თავის ისტორიულ ნაშრომში ,,დანაშაულისა და სასჯელების შესახებ", ჩამოაყალიბა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საფუძვლები და პრინციპები, ისეთი, როგორიცაა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და რეპრესიულობის ეკონომიკური მხარე[6].

აღნიშვნის ღირსია ასევე ინგლისელი იურისტის, პროფესორ ქორთნი სთენჰოუპ ქენის ფუნდამენტური ნაშრომი - „სისხლის სამართლის საფუძვლები", სადაც ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს კრიმინალიზაციის გენეზისს.[7]

მოხსენიებულ მეცნიერთა ნააზრევი ცალსახად ადასტურებს დებულებას იმის შესახებ, რომ კრიმინალიზაციის საწყისი ეტაპია სოციალურად საშიშ ქმედებათა სისტემური და არა საგამონაკლისო ხასიათი.

თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ზემოაღნიშნული დებულებებით და გავაანალიზებთ სტატისტიკურ მონაცემებს, არავითარი ეჭვი არ დარჩება იმისა, რომ კიბერსივრცეში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების კვალდაკვალ, წარმოიშვა და სისტემურად ვითარდება პლანეტარული მასშტაბის, სოციალურად საშიში ქმედებების მთელი კასკადი, რომლებიც უახლოეს მომავალში აუცილებლად განაპირობებს სპეციალური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობას. დღეის მდგომარეობით კი მოქმედი კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში კიბერტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ნებისმიერ უმართლობას განიხილავს, როგორც დანაშაულის განხორციელების ანტისოციალურ ხერხს და ეს მოცემულობა ჯერჯერობით აკმაყოფილებს სისხლისსამართლებრივ მიზნებს, მაგრამ უკვე აშკარაა მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციების შექმნის საჭიროება.

ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას გაუფრთხილებლობით, რაც კანონმდებლობის ნაკლია და ხელს უწყობს არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კიბერდანაშაული თავისი ბუნებით უნივერსალურია და მისთვის არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა დროსა და სივრცეში. მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური წესწყობილების თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, მისი ჩადენა ერთნაირად შეიძლება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში და მას ხელს ვერ უშლის გარე და შიდა ფაქტორები. ინტერნეტის წყალობით იქცა სოციალურად საშიში ქმედებები ტრანსნაციონალურ დანაშაულად. მაღალტექნოლოგიურმა პროგრესმა დასაბამი დაუდო სრულიად ახალი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, დღემდე უცნობ, თვისობრივად განსხვავებულ, სოციალურად საშიშ ქმედებათა აღმოცენებას. აქედან გამომდინარე, დაიწყო ამ ურთიერთობათა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი რეგულირება. თუ საწყის ეტაპზე მსგავს ურთიერთობათა რეგულირება შესაძლებელი იყო სამოქალაქო სამართლის წყალობით, დროთა განმავლობაში დადგა მათი სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების საჭიროება, რაც კრიმინალიზაციის პროცესს გულისხმობს. პერმანენტულად დაიწყო ახალი სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციების შემუშავება და საკანონმდებლო რეგულირება. მოგვიანებით აუცილებელი გახდა საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა და ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ანუ საკა-

[5] *Яковлев,* Принципы социальной справедливости и основания уголовной ответственности, Государство и право 1982 N3, 14.

[6] *ბეკარია*, დანაშაულისა სასჯელების შესახებ, მოსკოვი 1939, 14-21.

[7] *Kenny,* Fundamentals of Criminal Law, Cambridge 1947, 47.

ნონმდებლო ჰარმონიზაცია. ამ პროცესში შემუშავებული დანაშაულის შემადგენლობათა უმეტესობა გულისხმობდა მის განზრახ ჩადენას, ხოლო მოგვიანებით კი გაუფრთხილებლობასაც, რაც შექმნილი რეალობით იყო ნაკარნახევი. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ სატრანსპორტო, სამშენებლო, სამრეწველო თუ სხვა სფეროებში შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით, ხოლო კიბერსივრცეში კი არა. სწორედ კიბერტექნოლოგიების გაუფრთხილებელ გამოყენებას მოჰყვა ისეთი მასშტაბური დონის შემთხვევები, როგორებიცაა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ტრაგედია, სამგზავრო კრუიზული გემის - კონკორდიას ჩაძირვა და სხვა. მსგავსი მაგალითი უამრავია და ყველა მათგანი გამოწვეულია კიბერტექნოლოგიების არასათანადო მოპყრობით. ამიტომაა, რომ რიგი ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის ინსტიტუტს.

თანამედროვე რეალობაში, როდესაც კიბერტექნოლოგიები ერთადერთ და უალტერნატივო განზომილებად გვევლინება, როდესაც მის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია კაცობრიობის პროგრესი და განვითარება, ბუნებრივად ჩნდება მათი მართლზომიერად გამოყენების ვალდებულება, რაც, თავის მხრივ, ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ავალდებულებს როგორც შესაბამისი ცოდნის მიღებას, ისე სათანადო უნარ-ჩვევების დაუფლებას. გამოდის, რომ ეს პროცესი თავის თავში გულისხმობს შესაბამისი მოქმედების განხორციელებას, ანუ ქცევას. ქცევა კი ყოველთვის არ გულისხმობს მის მართლზომიერებას. უფრო სწორად, ქცევაში მოიაზრება როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი ქმედება, რომელიც ვლინდება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უმართლობათა უმეტესი ნაწილი კიბერსივრცეში ხორციელდება, ამ შემთხვევაში შემადგენლობის გაუფრთხილებლობით განხორციელება უბრალოდ გარდაუვალია. ამიტომ გაუფრთხილებლობა აისახა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.

ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ეს ნაკლი, რომელიც თავისთავად უარყოფითი მოვლენაა, თავის მხრივ, წარმოშობს დამატებით პრობლემებს. კერძოდ, თუ რეალობას თვალს გაუსწორებთ, მოგვიწევს იმის აღიარება, რომ სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა (მხედველობაშია სისხლისსამართლებრივი დევნის და საგამოძიებო ორგანოები) ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით, ყოველთვის ცდილობდა კანონის საკუთარ თავზე მორგებასა და არასწორ ინტერპრეტირებას, თავისი სამსახურებრივი ინტერესების შესაბამისად, რასაც ხსნიდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნებით. ეს, საგამოძიებო ორგანოების ისტორიულად თანდაყოლილი ნაკლია და მისი სრულად აღმოფხვრა, ჯერ-ჯერობით, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა. ამის გამომწვევი მიზეზების კვლევა შორს წაგვიყვანს, მაგრამ უდავოა, რომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება თავად კანონმდებლობის ყოველმხრივი სრულყოფაა.

მართლაც, თუ საგამოძიებო პრაქტიკას გადავხედავთ, არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც სახეზეა კიბერსივრცეში ჩადენილი სოციალურად საშიში ქმედება, რომელიც თავისი არსით გაუფრთხილებლობას განეკუთვნება, მაგრამ იმის გამო, რომ იგი სოციალურად საშიშია და, ამასთან ერთად, იწვევს საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას, სამართალდამცავ ორგანოებს აიძულებს შესაბამისი უკანონო ქმედებისკენ. რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის ჩადენას გაუფრთხილებლობით, გამოძიება იწყება განზრახი დანაშაულისთვის და, ამ შემთხვევაში, სასამართლო კონტროლი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყოველთვის ვერ ასწორებს საგამოძიებო ორგანოების შეცდომებს.

მსგავს გაუგებრობათა თავიდან აცილების ყველაზე მართებულ საშუალებად გვესახება სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი სამართ-

ლებრივი კონსტრუქციის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას და შექმნის მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების პირობებს.

V. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და აშკარად ჩამორჩება საერთაშორისო გამოცდილებას. აშკარაა, როგორც ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობების შექმნის, აგრეთვე მათი სისტემატიზაციის აუცილებლობა.

აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ სისხლის სამართლის კოდექსში დაუყოვნებლივ გაითვალისწინოს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობა და ამ გზით სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დაახლოვოს საერთაშორისო კანონმდებლობასთან.